სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 63

2015 წლის 15 მაისი

ქ. თბილისი

„მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2015 წლის კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2015 წლის 24 თებერვლის N22 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებისა და 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სპეციალისტის, ხატია ანანიაშვილის სამსახურებრივი ბარათის (N394137. 14.05.2015) საფუძველზე

ვბრძანებ:

1. „მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2015 წლის კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2015 წლის 24 თებერვლის N22 ბრძანების მე- 2 პუნქტით დამტკიცებულ „მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2015 წლის კონკურსის პირობებში“ (დანართი N1-ში) შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

შემსრულებელი:

ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის

დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი,

მადონა გვიდიანი ----------

შეთანხმებულია:

ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის

დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

მარიამ იაშვილი ----------

ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის

დეპარტამენტის უფროსი

ეკატერინე ბუთლიაშვილი ----------

ფონდის სპეციალისტი: ----------

ხატია ანანიაშვილი

გენერლური დირექტორის მოადგილე

მანანა მიქაბერიძე ----------

ა) პირობების მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა

1. მეცნიერებმა (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელებმა) კონკურსში მონაწილეობისათვის უნდა მოამზადონ და წარადგინონ პროექტები, 2015 წლის 14 აპრილის 18 საათამდე, შემდეგი მითითებების დაცვით:

ა) ფონდის ელექტრონულ ბაზაში (არსებული ინსტრუქციის მიხედვით);

ბ) ფონდის ელექტრონული ბაზით წარდგენის შემდეგ, ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართებზე srnsf.stcu@rustaveli.org.ge და srnsf.stcu@gmail.com. აღნიშნულ მისამართებზე გაგზავნილ წერილში მითითებული უნდა იყოს პროექტის სათაური, წამყვანი ან/და თანმონაწილე ორგანიზაციები, პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

2. მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრულ წერილს წერილს თან უნდა ერთვოდეს:

ა) პროექტის მოკლე ვერსია (ე.წ. "მოკლე ფორმა"), რომელიც ივსება ფონდის საპროექტო განაცხადის MS Excel-ის ფორმაში - დანართი N7 არსებული ინსტრუქციის შესაბამისად. იგზავნება XPS ფორმატში გადაყვანილი;

ბ) საპროექტო წინადადება (რეკომენდებულია არაუმეტეს 5 გვერდისა), რომელიც ივსება MS Word-ში (დანართი 2) და პროექტის რეზიუმე ინგლისურ ენაზე (რეკომენდებულია 400 – 800 სიტყვა), რომელიც ივსება MS Word-ში (დანართი 6) იგზავნება ერთ PDF დოკუმენტად გაერთიანებული;

გ) პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და ყველა ძირითადი მონაწილის აკადემიური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები. თუ აკადემიური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი უცხოეთშია გაცემული, პირი წარადგენს დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებულ თარგმანსა და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემულ დოკუმენტს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ. ამასთან ერთად, მონაწილე წამყვანი/თანამონაწილე ორგანიზაცი(ებ)ის იურიდიული სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი, იმ შემთხვევაში თუ ის(ისინი) არ წარმოადგენენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. აღნიშნული დოკუმენტები იგზავნება ერთ PDF დოკუმენტად გაერთიანებული.

3. ამ წერილის და დოკუმენტების ელფოსტით მიღების შემდეგ კონკურსის კოორდინატორი გაუგზავნის აპლიკანტს წერილობით დასტურს (srnsf.stcu@rustaveli.org.ge მისამართიდან) (აპლიკანტის მიერ გაგზავნილი წერილის ვადის მითითებით).

4. აუცილებელია პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელმა ან ძირითადმა შემსრულებელმა ფონდის კანცელარიაში 2015 წლის 17 აპრილის 16:00 სათამდე წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) „პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ ხელმოწერილი პროექტის ხელმძღვანელისა და ყველა ძირითადი შემსრულებლის მიერ. აღნიშნული დოკუმენტი დამოწმებული უნდა იყოს წარმომდგენი (წამყვანი/თანამონაწილე) ორგანიზაცი(ებ)ის ხელმძღვანელის/უფლებამოსილი პირის ხელმოწერ(ებ)ით და ორგანიზაცი(ებ)ის ბეჭდ(ებ)ით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ბ) srnsf.stcu@rustaveli.org.ge და srnsf.stcu@gmail.com გაგზავნილი წერილის ამობეჭდილი ასლი (დანართების გარეშე).

გ) კონკურსის კოორდინატორისგან ელფოსტით მიღებული ამობეჭდილი დასტურის წერილი (აპლიკანტის მიერ გაგზავნილი წერილის ვადის მითითებით).

5. საპროექტო განაცხადის მოკლე ფორმის და სხვა მოთხოვნილი დოკუმენტების (ერთი XPS დოკუმენტი და ორი PDF დოკუმენტი) ელექტრონულ ბაზაში და ელექტრონული ფოსტის მისამართებზე: srnsf.stcu@rustaveli.org.ge srnsf.stcu@gmail.com გაგზავნა შესაძლებელი იქნება 2015 წლის 24 თებერვლიდან 2015 წლის 14 აპრილის 18:00 სთ-მდე. ხოლო „პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივ განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“, აპლიკანტის მიერ გაგზავნილი განაცხადისა და კონკურსის კოორდინატორისგან ელფოსტით მიღებული ამობეჭდილი დასტურის წერილები ფონდის კანცელარიაში წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს -17 აპრილის 16:00 საათისა. ვადის დარღვევით შემოსული დოკუმენტაცია საკონკურსოდ არ განიხილება.

6. ფონდი უფლებამოსილია კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტები, რომლებიც არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.
7. ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.“

ბ) მე-12 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. ფონდი მტცუ-ში წარადგენს წინამდებარე დანართის მე-8 მუხლით გათვალისწინებული რაოდენობის პროექტების ოფიციალურ სიას მათი სათაურებითა და სამეცნიერო ხელმძღვანელების საკონტაქტო მონაცემებით. აღნიშნულ პირებს მტცუ გადაუგზავნის პროექტების მოსამზადებლად საჭირო სრულ ფორმებსა და სარეგისტრაციო ნომრებს (ასლი გადაეგზავნება ფონდს). სათანადო ფორმის შესაბამისად მომზადებული პროექტების სრულ ვერსიები ინგლისურ ენაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს **ფონდში 2015 წლის 30 ივლისის 18.00 საათის ჩათვლით.**

2. პოტენციური კოლაბორატორების მხრიდან თანამშრომლობის ინტერესის გამოხატვის ხელმოწერილი წერილი (ორიგინალი) უნდა გადაეგზავნოს, როგორც მტცუ-ს, ისე პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელს (დასკანირებული ვერსია, ან ორიგინალი). აღნიშნული წერილი წარმოდგენილ უნდა იქნას ფონდში პროექტის სრულ ვერსიასთან ერთად **2015 წლის 30 ივლისის 18 საათის ჩათვლით.** პოტენციურმა კოლაბორატორებმა თანამშრომლობის ინტერესის გამოხატვის წერილის მომზადებისას უნდა დაიცვან ინსტრუქციები, რომლებიც მოყვანილია ვებგვერდზე: **http://www.stcu.int/west/recommendation/**."

2. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;

3. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.№6).

მარინე ჩიტაშვილი